სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება

ქ. თბილისი

MES 9 20 0001209947

18/12/2020

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის „სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს“ პროგრამის დამტკიცების შესახებ“ 2020 წლის 27 ნოემბრის N 1131254 ბრძანების საფუძველზე და სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 11 დეკემბრის 01-05-05/209 დადგენილების შესაბამისად სტუ-ს ბაკალავრიატის სტუდენტთათვის აღნიშნული სტიპენდიის დანიშვნის წესის განსაზღვრის მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. სტუ-ს ბაკალავრიატის სწავლების II, III და IV წლის საუკეთესო რეიტინგის მქონე სტუდენტებს ამ ბრძანებით გათვალისწინებული წესის შესაბამისად დაენიშნოთ 150-ლარიანი სახელმწიფო სტიპენდია 2020 წლის პირველი ოქტომბრიდან 2021 წლის პირველ იანვრამდე 3 კალენდარული თვის განმავლობაში;
2. სახელმწიფო სტიპენდიანტების შერჩევა მოხდეს წინამდებარე ბრძანებით განსაზღვრული წესის შესაბამისად, ფაკულტეტის დეკანის ბრძანებით შექმნილი საკონკურსო კომისიების მიერ;
3. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბაკალავრიატის სწავლების II, III და IV წლის სტუდენტებს, რომლებსაც 2019–2020 სასწავლო წლის მეორე სემესტრის სესიების შედეგების მიხედვით (სტუ-ს რექტორის 2020 წლის 22 მაისის N01-09-10/63 ბრძანებით განსაზღვრულ საგამოცდო სასესიო ვადებში – 2020 წლის 20 ივლისიდა 01 აგვისტოს ჩათვლით) აქვთ მაღალი რეიტინგი, არანაკლებ 81 %-ისა, შეიძლება დაენიშნოთ სახელმწიფო სტიპენდია;

4. სახელმწიფო სტიპენდიანტთა შერჩევისას ფაკულტეტისათვის განსაზღვრული კვოტის ფარგლებში, თანაბარი რეიტინგის დროს, გათვალისწინებული უნდა იყოს სტუდენტის მონაწილეობა კონფერენციებში და სხვ. ასეთ შემთხვევაში გადაწყვეტილებას იღებს ფაკულტეტის საკონკურსო კომისია;
5. თუ რომელიმე ფაკულტეტზე ამ ბრძანებით გათვალისწინებული კრიტერიუმების დაუკმაყოფილებლობის გამო გაუნაწილებელი დარჩა სტიპენდიები, ისინი გადაეცემა საკმარისი რეიტინგის მქონე სხვა ფაკულტეტის სტუდენტებს;
6. ამ ბრძანების შესაბამისად სტიპენდიანტთა რაოდენობის განსაზღვრა მოხდეს ფაკულტეტებზე ბაკალავრიატის სტუდენტთა კონტინგენტის პროცენტული წილის შესაბამისად, სტუ-ს ბაკალავრიატის სტუდენტთა ჯამური რაოდენობიდან;

- სამშენებლო ფაკულტეტი – 104 სტუდენტი;
- ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტი – 79 სტუდენტი;
- სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტი – 39 სტუდენტი;
- ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტი – 43 სტუდენტი;
- სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი –45 სტუდენტი;
- არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი – 35 სტუდენტი;
- ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი – 73 სტუდენტი;
- ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი – 124 სტუდენტი;
- დიზაინის საერთაშორისო სკოლა - 3 სტუდენტი
- აგრარული მეცნიერებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტი - 77 სტუდენტი;
- სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი - 91 სტუდენტი;
- საინჟინრო ეკონომიკის,მედიატექნოლოგიის და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტი -46 სტუდენტი

1. სტიპენდიანტთა შერჩევის შედეგები გამოიკრას შესაბამის ფაკულტეტებზე თვალსაჩინო ადგილას და განთავსდეს სტუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე;
2. ფაკულტეტების საკონკურსო კომისიების წარდგინების საფუძველზე მომზადდება და გამოიცემა რექტორის ბრძანება სახელმწიფო სტიპენდიების დანიშვნის თაობაზე;
3. ბრძანება გამოიკრას უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ კორპუსში და ფაკულტეტებზე თვალსაჩინო ადგილას და განთავსდეს სტუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე;
4. ბრძანებაზე კონტროლი დაევალოს სწავლების დეპარტამენტის უფროსს თ.წერეთელს

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
რექტორი დავით გურგენიძე